ფრე, რომელიც დამარცხებას უდრის

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 6 მაისი.

“დინამო” (თბილისი) - “კაირატი” (ალმა-ატა) - 2:2 (0:1).

“კაირატი”: ბალიკოვი, სტულოვი, კისელევი, კამინსკი, ოსტროუშკო, ფედოტოვი, სეგიზბაევი, კვოჩკინი, სკულკინი (აბგოლცი), ჩენცოვი, მალცევი.

“დინამო”: ლეჟავა, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, დათუნაშვილი, მეტრეველი, გ. სიჭინავა, მაისურაძე, იამანიძე, მესხი.

მსაჯი: ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).

იმ გარემოებამ, რომ ბარქაიას უფლება არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო გუშინდელ მატჩში, გამოიწვია მთელი რიგი იძულებითი ხასიათის გადადგილებანი თბილისის დინამოელთა შემადგენლობაში. იამანიძე წინ იქნა გადაყვანილი დაწყვილებულ ცენტრად ახალგაზრდა დებიუტანტთან - მაისურაძესთან ერთად, ხოლო ნახევარდაცვაში წელს პირველად გამოვიდა დათუნაშვილი.

იამანიძეს არაერთხელ უთამაშია თავდასხმის ცენტრში სხვადასხვა პარტნიორთან ერთად, სხვადასხვა ტაქტიკური ამოცანის დავალებით და მრავალი წლის პრაქტიკამ ნათლად დაგვანახა, რომ იამანიძე - ნახევარმცველი - გაცილებით უფრო ძლიერი და პროდუქტიულია, ვიდრე იამანიძე - თავდამსხმელი. მისი თამაშის მანერა მოითხოვს ვრცელ ოპერაციულ სივრცეს, დიდ სამოქმედო დიაპაზონს, რაც წინა ხაზზე თამაშის დროს მას არა აქვს. ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა გუშინ, როცა დინამოელთა კაპიტანს თითქმის არ ჰქონდა საშუალება მიეღო ბურთი “კაირატის” გაძლიერებულ მცველების გარემოცვაში და შეესრულებინა მასზე დაკისრებული როლი.

აშკარად წარუმატებელი გამოდგა მაისურაძის დებიუტი ცენტრალური ფორვარდის პოსტზე. იგი ძალზე ცოტას მოძრაობდა, არ ეძებდა თავისუფალ ადგილს კომბინაციებში მონაწილეობისათვის, სისტემატურად კარგავდა ბურთს მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში. ჩვენ გადაჭარბებული პრეტენზიები არა გვაქვს ახალგაზრდა ფეხბურთელის მიმართ, მაგრამ ვფიქრობთ გუნდს გარკვეულ სარგებლობას მოუტანდა მისი შეცვლა მეორე ტაიმში, როცა უკვე საბოლოოდ ნათელი გახდა, რომ ბრძოლა ცენტრში ჩვენს გუნდს წაგებული ჰქონდა.

ეს საერთო ხასიათის შენიშვნები სრულიადაც არ ნიშნავს, რომ თბილისელებმა სწორედ მათი გამოისობით ითამაშეს ცუდად და დაკარგეს ქულა აუტსაიდერთან საკუთარ მინდორზე. გუნდის ყველა წევრი, მცირე გამონაკლისის გარდა, მოქმედებდა წარმოუდგენელი ინერტულობით, ნელ ტემპში, შებორკილად. მატჩის დასაწყისმა გარკვეული დაღი დაამჩნია მთელ მის მსვლელობას. სტუმრები ტემპს ელოდნენ დინამოელთაგან, ამიტომ წინასწარვე იზრუნეს დაცვის გასაძლიერებლად, მაგრამ გავიდა 10 წუთი, 15, 20, 25 და თბილისელებს კი არაფერი ეტყობოდათ, რომ აპირებდნენ ნამდვილი იერიშის დაწყებას. “კაირატის” დაცვა თანდათან გაიშალა წინ, ამოძრავდნენ ნახევარმცველები, ფორვარდები და მალე მასპინძელთა ქაოტური შეტევებიდან არ დარჩა აღარაფერი. თამაშმა “დინამოს” კართან გადაინაცვლა.

გოლი, რომელიც ალმა-ატელებმა გაიტანეს 34-ე წუთზე, შეიძლება გამოდგეს დინამოელთა დაცვის უსისტემო თამაშის ნათელ ილუსტრაციად. საჯარიმო მოედნის ფარგლებში დაინიშნა თავისუფალი დარტყმა. თბილისელებმა ყურადღება არ მიაქციეს იმას, რომ ბურთთან ერთდროულად იდგნენ სკულკინი და მალცევი,

რომლებიც აპირებდნენ კომბინაციის გათამაშებას. ასეც მოხდა: მალცევმა მიიღო ბურთი, დაარტყა კარში და ლეჟავამ მიუტევებლად გაუშვა იგი ბადეში.

48-ე წუთზე ანგარიში გათანაბრებულ იქნა. მესხის მიერ კარის გასწვრივ ძლიერად გაგზავნილ ბურთს მცველებთან ბრძოლაში მიუსწრო გ. სიჭინავამ და ახლო მანძილიდან გაიტანა გოლი - 1:1.

დაიწყო დინამოელთა ხანგრძლივი შეტევა, რომელიც დრო და დრო შტურმში გადადიოდა, მაგრამ მას ისეთი არაორგანიზებული, აბნეული ხასიათი ჰქონდა, რომ გზა კარისაკენ თითქმის არა ჩანდა. რაც შეეხება "კაირატს", მისი ორიოდე თავდამსხმელი სრული შესაძლებლობით იყენებდა ყველა, თუნდაც მცირე შანსს კონტრთამაშისათვის და ერთ-ერთი ასეთი მომენტი დამთავრდა მეორე გოლით 73-ე წუთზე: ცხოვრებოვმა ბურთს ააცილა ფეხი, მალცევმა მიიღო იგი, გავიდა წინ და დაარტყა კარში, სადაც კვლავ სუსტად ითამაშა ლეჟავამ - 2:1.

მატჩი თითქოს წაგებული იყო, ვინაიდან იწყებოდა ბოლო, 90-ე წუთი და ხსნაც არ ჩანდა. ამ უიმედო ვითარებაში დათუნაშვილი კარგად გავიდა მარცხენა ფლანგზე, ჩააწოდა ცენტრში და აქ წამით ღიად დარჩენილმა მესხმა შეძლო მეორე ბურთის გატანა - 2:2.

ეს იყო ცუდად ჩატარებული მატჩი, მძიმე ფრე, რომელიც ფაქტიურად წაგებას უდრის, ვინაიდან თბილისელებმა ბოლო თამაშებში 6 ქულიდან დაკარგეს 5.

რ. ქორიძე.
"ლელო", 7 მაისი, 1964 წ.